ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№GOG/C/D/713/-001-2013

ქ. თბილისი **„ 17“ „ივლისი“ 2013წ**

ერთის მხრივ სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის ბ-ნი ელგუჯა ხოკრიშვილის სახით და მეორე მხრივ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ბ-ნი მერაბ ბოჭოიძის სახით ვმოქმედებთ რა, „კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური ძეგლის „თელავის ბატონის ციხის“ კონსერვაციის გეგმის პროექტის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 5 ივლისის N713 განკარგულების „გ“ პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ ორგანიზაციას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ფასი“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელზედაც მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომში შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელთანაც შემსყიდველმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და რომელიც ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

2.1.წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს კულტურული მემკვიდრეობის კომპლექსური ძეგლის „თელავის ბატონის ციხე“ კონსერვაციის გეგმის პროექტი - მრავალდისციპლინარული კვლევა, კონსერვაციის საყოველთაოდ მიღებული მეთოდოლოგიის შესაბამისად მომზადებული სახელმძღვანელო დოკუმენტი (cpv71351700 - სამეცნიერო-კვლევითი მომსახურებები), რომელიც განისაზღვრება ტექნიკური დავალების, ხარჯთაღრიცხვისა და გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. შესყიდვის ტენიკური დავალება , ხარჯთაღრიცხვა და გეგმა-გრაფიკი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს (იხ. დანართი 1, დანართი 2 და დანართი 3).

2.2 შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოწოდებული და უზრუნველყოს ანგარიშსწორება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

2.3.მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 69 344 (სამოცდაცხრა ათას სამასორმოცდაოთხი) ლარს (შემდგომში ხელშეკრულების ფასი).

2.4.ხელშეკრულების ფასი მოიცავს მომსახურების მიწოდებისათვის გათვალისწინებულ ყველა ხარჯს, მიწოდებლისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს. კრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული მოწოდებული მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც შექმნის საფუძველს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის

სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტის გამოცემისათვის.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.2 ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 მომსახურების მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2 მიწოდებული მომსახურების ხარისხის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობის დადგენა, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შესაბამისი ინსპექტირების დასკვნის შედგენა.

3.2.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებების განხორციელება.

3.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების ანალიზისა და მონიტორინგის დეპარტამენტის პროექტების ანალიზის განყოფილების უფროსი დავით ჯინჭარაძე.

4. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების უნდა განხორციელდეს „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონისა და აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის დადგენილი სტანდარტებისა და წესების მიხედვით.

5. მომსახურების მიწოდების ვადები

5.1.მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან წინამდებარე ხელშეკრულების დანართით N3 გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ხორციელდება ეტაპობრივად შუალედური და საბოლოო მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების შესაბამისად.

6.2.მომსახურების ან/და მისი ეტაპის მიღება-ჩაბარების მიზნით, მიმწოდებელი წერილობით წარუდგენს შემსყიდველს გაწეული მომსახურების შესახებ ანგარიშს (2 ეგზემპლარი ელექტრონული ვერსიით (CD ან და DVD დისკით) და 4 ეგზემპლარი ნაბეჭდი სახით).

7. ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

7.2 ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტებზე.

7.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ეტაპობრივად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

7.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 7.3. პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.მომსახურების ხარისხი და გარანტია

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება იქნება უფლებრივად და ნივთობრივადუნაკლოდ, არ გამოავლენს ხარვეზებს და შესრულებული იქნება მაღალხარისხოვნად, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით

უზრუნველყოს გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორება. შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში ხარვეზების და დეფექტების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში კი დაეკისრება მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კანონით დადგენილი წესით.

9. შესყიდვის ობიექტის საკუთრება

მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის ხელშეკრულების შესაბამისად მომზადებული ნებისმიერი სახის გამოკვლევა, ანგარიშები ან სხვა მასალები, გრაფიკა, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა დოკუმენტები, წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. მიმწოდებელმა შეიძლება დაიტოვოს ასეთი დოკუმენტების და პროგრამული უზრუნველყოფის ასლი.

10.მხარეთა ვალდებულებები

10.1.მიმწოდებელი ვალდებულია:

10.1.1. კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

10.1.2. დროულად განიხილოს შემსყიდველის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.შემსყიდველი ვალდებულია:

10.2.1. დაფინანსების წყაროთი გათვალისწინებული თანხების უწყვეტი დაფარვის პირობებში უზრუნველყოს მიმწოდებლის დროული და სრული დაფინანსება.

10.2.2. დროულად განიხილოს მიმწოდებლის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10.2.3. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

11.მხარეთა უფლებები

11.1მიმწოდებელს უფლება აქვს:

11.1.1 ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

11.2 შემსყიდველს უფლებააქვს:

11.2.1 აწარმოოს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალებულებების კონტროლი.

11.2.2 განაცხადოს უარი უხარისხო მომსახურების მიღებაზე.

12.ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, დაფინანსების წყაროს მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს

გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

13.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

13.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

13.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

13.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

15. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 მიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების დარღვევის შემთხვევაში გადაუხადოს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე გადაუხადოს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

16.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

16.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

17.1. მხარეთა შეთანხმებით;

17.2. ხელშეკრულების 16.4. პუნქტით გათვალისწინებული პირობის არსებობისას;

17.3. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1 ხელშეკრულება შედგენილია 2 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

19.2 ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

"შემსყიდველი"	**მიმწოდებელი**
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"	სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"
ს/კ 206074193	მის: ქ. თბილისი, თაბუკაშვილის #5
ქ.თბილისი აღმაშენებლის გამზირი N150	სს „საქართველოს ბანკი"
ს/ს ბანკი რესპუბლიკა	კოდი: BAGAGE22
ბანკის კოდი № 220 101 757	ა/ა № GE16BG0000000901913700
ა/ა GE34BR0000010975120582	ს/კოდი: 204562311
ელგუჯა ხოკრიშვილი	**მერაბ ბოჭოიძე**
აღმასრულებელი დირექტორი	**გენერალური დირექტორი**

დანართი №1

თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმის პროექტის ტექნიკური დავალება

საფუძველი:

ბატონის ციხე თელავში, რომელსაც განსაკუთრებული მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობა გააჩნია, წარმოადგენს კომპლექსურ ძეგლს[1]. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კომპლექსურ ძეგლზე ითვალისწინებს კონსერვაციის გეგმის დამუშავებას[2].

- **პრეამბულა**

თელავის ბატონის ციხის კომპლექსი შეიცავს სხვადასხვა პერიოდისა და ფუნქციის ნაგებობებს, რომლებიც რეგისტრირებულია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრში:

1. თელავის ბატონის ციხე. გალავანი. XVII–XVIII სს
2. თელავის ბატონის ციხე. სასახლე. XVII–XVIII სს
3. თელავის ბატონის ციხე. კარის მცირე ეკლესია. . XVII–XVIII სს
4. თელავის ბატონის ციხე. სობორო. XVII–XVIII სს 1753წ.
5. თელავის ბატონის ციხე. საზარბაზნე კოშკი. XVII–XVIII სს.
6. *თელავის ბატონის ციხე. „სახაზინო სახლი“. XIX ს. შუა წლები. 1867წ. <u>მოეხსნა სტატუსი . N03/51. 31.08.12. (ამჟამად დანგრეულია)</u>*
7. თელავის ბატონის ციხე. ყოფილი წმ. ნინოს სასწავლებელი. XVII–XVIII სს. 1867წ. *<u>N3/131. 25.04.12. (ამჟამად დანგრეულია).</u>*
8. თელავის ბატონის ციხე. სკოლა. XVIII-XIX სს.
9. თელავის ბატონის ციხე. აბანო. XVIII სს.
10. *სამხატვრო გალერეა. 1812 წ. <u>(ამჟამად დანგრეულია)</u>*

<u>2010 – 2012 წლებში თელავის ბატონის ციხეზე სათანადო დოკუმენტაციის დამუშავების გარეშე ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შედეგად ხუროთმოძღვრულმა კომპლექსმა მნიშვნელოვანი დანაკარგები განიცადა.</u>

---

1. საქართველოს კანონი კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, თავი I, კანონის მიზანი, მოქმედების სფერო და კანონში გამოყენებული ტერმინები, მუხლი 3, ი.ბ) **კომპლექსური ძეგლი** – ფიზიკურად, ფუნქციურად, ისტორიულად ან

გეგმის საფუძველი); რეკომენდაციები ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაობის დროს არქეოლოგიური ზედამხედველობის შესახებ და რეკომენდაციები კომპლექსის სამომავლო არქეოლოგიური შესწავლის თაობაზე.

- **საინჟინრო შეფასება**

კომპლექსში შემავალი ნაგებობების კონსტრუქციული მდგრადობის არსებული მდგომარეობის შეფასება, დახარისხება. ჰიდროლოგიური და გეოლოგიური დასკვნა, რომელიც შეიძლება დაეყრდნოს რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას; რეკომენდაციები სამომავლო სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩასატარებლად.

- **ძეგლის კონსერვაციის შეფასება**

ძეგლზე განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოების შეფასების საფუძველზე უნდა დამუშავდეს ძეგლის კონსერვაციის მდგომარეობის ანგარიში.

- **სოციოლოგიური კვლევა**

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასურველია, კვლევის ჩატარება, რათა ძეგლის მნიშვნელოვანების განსაზღვრისას ზუსტად გამოიკვეთოს ადგილობრივი საზოგადოებისთვის მისი სპეციფიური ღირებულებაც.
(კითხვარის დამუშავება, საველე და ინდივიდუალური გამოკითხვების ჩატარება, შედეგების ანალიზი, ანგარიში).

- **ინტერდისციპლინარული კვლევის ანალიზი, ჩარევის სახელმძღვანელო პრინციპები**

შექმნილი დოკუმენტაციის, კვლევების კომპილაცია, ანალიზი, კომპლექსის დოსიეს შექმნა. თემატური გეგმების დამუშავება კვლევის შედეგად გამოვლენილი ინფორმაციისა და რეკომენდაციების დატანით. ჩარევის სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის დამუშავება, როგორც კომპლექსის ტერიტორიისთვის, ისე ცალკეული ძეგლისთვის.

შენიშვნა:

- ინტერდისციპლინარული საპროექტო ჯგუფის მუშაობა უნდა განხორციელდეს კონსერვაციის ექსპერტის - ნ. ცინცაბაძის ხელმძღვანელობით.
- კონსერვაციის გეგმის დამუშავებისას სამუშაო ჯგუფთან კონსულტაციებით ჩართული უნდა იყოს არქიტექტორ-რესტავრატორი - ზალიკო მეღვინეთუხუცესი.

- სამუშაო ბირთვი უნდა გაეცნოს საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ხუროთმოძღვრების, ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს რეკომენდაციებს და მოსაზრებებს.

თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმის გეგმა-გრაფიკი

1. მოსამზადებელი სამუშაოები: საარქივო-ბიბლიოგრაფიული კვლევა, კერძო და სახელმწიფო არქივებში დაცული სხვადასხვა პერიოდის ფოტო და გრაფიკული დოკუმენტაციის მოპოვება, ძეგლის კონსერვაციის ისტორიის დადგენა, დაზვერვითი სამუშაოები ადგილზე, სამუშაოების ზუსტი განრიგის დამუშავება, ლოჯისტიკის მომზადება და ა.შ.

2. საველე სამუშაოები: ტერიტორიისა და ძეგლების ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია (სადაც ძველი დოკუმენტაცია არსებობს, იმის კორექტირება, სადაც არ არსებობს მათი აზომვა), სახელოვნებათმცოდნეო კვლევა, არქეოლოგიური დასკვნა, საინჟინრო (გეოლოგიური, კონსტრუქციული და სხვა მომიჯნავე ნაწილების) დასკვნა და ა.შ.

3. დოკუმენტის დამუშავება: ა) დოკუმენტაციის შექმნა (ანაზომების მომზადება), თეორიული დოკუმენტაციის დასრულება, ფოტო-დოკუმენტაციის კლასიფიკაცია, თემატური გეგმების დამუშავება; ანალიზი, ჩარევის მეთოდოლოგიის დამუშავება და ა.შ.

4. სინთეზური დოკუმენტის დასრულება, შემოწმება-კორექცია და ტექნიკური გამოშვება.

"შემსყიდველი"
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"

ელგუჯა ხოკრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

მერაბ ბოჭოიძე
გენერალური დირექტორი

ტერიტორიულად დაკავშირებული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც ტოპოგრაფიულად იდენტიფიცირებადი ერთეულია და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა ძეგლის სტატუსი;
2. იხილეთ დანართი

❖ კონსერვაციის გეგმის მიზანი და ძირითადი პირობები

კომპლექსური ძეგლის ქსოვილში შეტანილი უხეში ცვლილებების გამოსწორებისა და შექმნილი მდგომარეობის ძეგლთა დაცვით პრინციპებთან შესაბამისობაში მოსაყვანად, აუცილებელია, დამუშავდეს თელავის ბატონის ციხის კომპლექსის კონსერვაციის გეგმა.

დასამუშავებელი მიმართულებები და თემები

➢ სახელოვნებათმცოდნეო კვლევა

საარქივო-ბიბლიოგრაფიული მასალისა და ძეგლის კონსერვაციული ისტორიის მიმოხილვის საფუძველზე უნდა მოხდეს ბატონის ციხის კომპლექსის ისტორიული, არქიტექტურული, მხატვრული, სოციალური მნიშვნელოვანების შეფასება, გამოიკვეთოს დასაცავი ფასეულობანი (მათ შორის მოხდეს დაკარგულ ფასეულობათა შეფასება); შემუშავებულ იქნას ამ ფასეულობათა დაცვის რეკომენდაციები. დამუშავდეს ცალკეული ძეგლების ბარათები (არსებული ბარათები განახლდეს). ძეგლის ფაილი უნდა შეიცავდეს შემდეგ პუნქტებს: აღწერა, მნიშვნელობა, ჩარევის ისტორია, ავთენტურობის შეფასება, ჩარევის რეკომენდაცია, ფოტო მასალა.

➢ გრაფიკული და ფოტო-ფიქსაცია

საჭიროა ტერიტორიისა და ცალკეული არქიტექტურული ძეგლის ფოტო და გრაფიკული ფიქსაცია.

დღევანდელი მდგომარეობის შესაბამისად მოხდეს ძველი დოკუმენტაციის კორექტირება, სადაც არ არსებობს - შესრულდეს აზომვითი სამუშაოები.

დამუშავდეს კომპლექსის სიტუაციური გენ-გეგმა, ტერიტორიის გეგმა, დეტალური ფოტო-დოკუმენტაცია, კომპლექსის განშლები, ცალკეული ძეგლების ანაზომი, მათი დეტალური ფოტო-დოკუმენტაცია.

➢ არქეოლოგიური დასკვნა

კომპლექსის ტერიტორიაზე ადრე ჩატარებული არქეოლოგიული დაზვერვითი სამუშაოების მიმოხილვა და არქეოლოგიურად მგრძნობიარე ზონების დადგენა (ერთერთი თემატური გენ-

თელავი, ბატონის ციხის კომპლექსი

კონსერვაციის გეგმის პროექტის ბიუჯეტი

				კაცი	თვე	განაკვეთი	თანხა
პროექტის კოორდინაცია				2	4		4000,00
პროექტის მენეჯერი				1	4	860	3440,00
მეგლის კონსერვაციის შეფასება (კონსერვაციის				1	4	1600	6400,00
სახელოვნებთმცოდნეო, ისტორიული,				1	3	1260	3780,00
არქიტექტორ-რესტავრატორები. გრაფიკული				4	3,3	1500	19800,00
დენდროლოგი				1	1	1000	1000,00
არქეოლოგიური დასკვნა; (არქეოლოგი)				1	1,5	1300	1950,00
საინჟინრო-გეოლოგიური შეფასება				2	1	1520	3040,00
სოციოლოგიური კვლევა				1	1	2500	2500,00
საკონსულტაციო სამუშაო				1	1	4500	4500,00
ტექნიკური სამუშაოები				1	1	2500	2500,00
ჯამი:							**52910,00**
ტექნიკური და საარქივო მასალები/სამუშაოები							2000,00
ჯამი:							**54910,00**
სამივლინებო ხარჯი							**5130,00**
ტრანსპორტირება							**3000,00**
ჯამი:							**63040,00**
ზედნადები ხარჯი						10%	6304,00
სულ ჯამი:							**69344,00**

"შემსყიდველი"
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური
განვითარების ფონდი"

ელგუჯა ხოკრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

" მიმწოდებელი"
სსიპ „საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის
ეროვნული სააგენტო"

მერაბ ბოჭოიძე
გენერალური დირექტორი

დანართი №3

გეგმა-გრაფიკი

მომსახურებისგაწევისათვის განკუთვნილია 19 კვირა, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან

	შესასრულებელი სამუშაო სულ: 69 344 (სმოცდაცხრა ათას სამას ორმოცდაოთხი) ლარი		**<u>პირველი ეტაპი</u>** თანხა 13, 868 (ცამეტიათას რვას სამოცდარვა) ლარი					**<u>მეორე ეტაპი</u>** თანხა 27 738 (ოცდაშვიდი ათას შვიდასოცდათვრამეტი) ლარი				**<u>მეასმე (საბოლო) ეტაპი</u>** თანხა 27 738 (ოცდაშვიდი ათას შვიდასოცდათვრამეტი) ლარი									
		კვირა	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19
1	მოსამზადებელი სამუშაოები		1	2	3	4	5														
2	საველე (კვლევითი და საფიქსაციო) სამუშაოები				1	2	3	4	5	6	8										
4	კამერული სამუშაოები (დოკუმენტაციის ანალიზი, ანაზომების დამუშავება, საბოლოო დოკუმენტის შექმნა)								1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13

"შემსყიდველი"
სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი"

ელგუჯა ხოკრიშვილი
აღმასრულებელი დირექტორი

მიმწოდებელი
სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო"

მერაბ ბოჭოიძე
გენერალური დირექტორი